საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ყველასათვის საჭირო ქოლგა

ქოლგა 4000 წლის წინ ჩინეთში გამოიგონეს. ის ძალაუფლების სიმბოლოდ გადაიქცა. მას მხოლოდ სამეფო გვარის წარმომადგენლები ატარებდნენ. მოგვიანებით საშუალო ფენასაც მიეცა ამის უფლება. თუმცა საინტერესოა ის ფაქტი, რომ წითელი და ყვითელი ქოლგები მხოლოდ დიდგვაროვნებისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო ლურჯი - უბრალო ადამიანებისთვის. იაპონიაში მზისგან თავს ქოლგით მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენლები იცავდნენ. დაბალ ფენას კი ამისათვის მხოლოდ ფართო ქუდები უნდა გამოეყენებინა.

ევროპაში ქოლგა პირველად ძველმა ბერძნებმა გამოიყენეს. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ წვიმისგან თავის დასაცავად ქოლგას ევროპელთაგან პირველად რომაელებმა მიმართეს. დაახლოებით 1680 წელს ქოლგა გამოჩნდა საფრანგეთში, მოგვიანებით კი - ინგლისშიც.

XVIII საუკუნემდე ქოლგას მხოლოდ მზისგან დაცვის ფუნქცია ჰქონდა, შემდეგ კი წვიმაშიც დაიწყეს მისი გამოყენება. ერთ ძველ ლექსიკონში ქოლგის მნიშვნელობა ასე იყო განმარტებული: მზისაგან და „იშვიათ შემთხვევაში" წვიმისაგან დამცავი საშუალება.

თანამედროვე კონსტრუქციის ქოლგა ინგლისელმა მოგზაურმა ჟოან ჰანვეიმ შექმნა. მან სიფრიფანა ქსოვილი შეცვალა უფრო მკვრივი და გამძლე ქსოვილით, რომელიც წყალს არ ატარებდა.

ვატერლოოს ბრძოლის დროს ინგლისელთა ცხენოსანი რაზმის ჯარისკაცებს ქოლგებიც ჰქონდათ. XIX საუკუნეში მას სხვა ფუნქციებიც დაემატა: ქუდის, მეხამრიდისა და სათვალის.

1850 წელს, როდესაც ლონდონის ქუჩაში ქოლგიანი ადამიანი დაინახეს, მეეტლეებმა მას სცემეს. ისინი წვიმიან ამინდში დიდ თანხას შოულობდნენ. ამიტომ ქოლგა თავიანთი ბიზნესისათვის საფრთხედ მიიჩნიეს.

დღეს ქოლგა აუცილებელი ნივთია მოდური ქალბატონებისთვის. მოდიდან არ გადადის გრძელტარიანი, ელეგანტური კლასიკური ქოლგები. დასაკეცი რთული

LIVEWORKSHEETS

კონსტრუქციის ქოლგა კი თავისი პრაქტიკულობით გამოირჩევა. მას თითქმის ყველა იყენებს, რადგან ასეთი ქოლგის ტარება უფრო მოსახერხებელია. ზოგიერთი ქოლგა ხელოვნების ნიმუშს წააგავს. ამით ქალბატონი შორიდანაც კი იპყრობს ყურადღებას. მოდური ქოლგები სხვადასხვაგვარადაა გაფორმებული.

ერთმა იაპონელმა დიზაინერმა ჰიროსი ჯამიმოტომ გადაწყვიტა თანამემამულეებს ძლიერ ქართან და წვიმასთან გამკლავებაში დახმარებოდა. მან გამოიგონა ქოლგა, რომელიც ტაიფუნს უძლებს. დიზაინერმა 60-იან წლებში გამოგონილ დასაკეც ქოლგას გარედან დამატებითი ჩხირები გაუკეთა. ისინი ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო მოკლეა. ქოლგა ორივე მხრიდან იკეცება, წვიმასა და ქარში არ ტყდება. სიახლე ჯერ არ იყიდება. იგი დაახლოებით 100 დოლარი ეღირება. ასევე ცნობილია, რომ ლურჯი ფერის იქნება. გამოგონების შესაქმნელად დიზაინერს უბიძგა ტაიფუნმა, რომელიც იმ სეზონზე იაპონიას არაერთხელ დაატყდა თავს. სტიქიის შემდეგ ქალაქების ქუჩები დამტვრეული ქოლგებით იყო მოფენილი.

გამომგონებლები მუდმივად ხვეწენ ქოლგას. ცდილობენ, ის უფრო ლამაზი და მოსახერხებელი იყოს. ერთმა ავსტრიელმა დიზაინერმა შექმნა ქოლგა რკინის ჩხირების გარეშე. ის კალმის ჩასადებ ბუდეს ჰგავს. როცა იშლება, ქსოვილი გარეთ გამოდის და ქოლგა ლოტოსის გაშლილ ყვავილს ემსგავსება. ასეთი ქოლგა, გარდა იმისა, რომ ლამაზია, უსაფრთხოცაა. როცა ტროტუარზე ორი ქალბატონი შეხვდება ერთმანეთს, ისინი თავისუფლად გაივლიან. რკინის ჩხირები მათ საფრთხეს არ შეუქმნის.

ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ისეთი ქოლგებიც არსებობს, რომლებსაც სახელურში ჩატანებული აქვს საგანგებო მოწყობილობა. ის მოსალოდნელი ავდრისას ანათებს და ამით აფრთხილებს მფლობელს. არსებობს ქოლგა ქამელეონი, რომელიც ტემპერატურის ცვლილებისას ფერს იცვლის.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რომელი წინადადება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქოლგა ჩინეთში ძალაუფლების სიმბოლოდ გადაიქცა?

ა) „მას მხოლოდ სამეფო გვარის წარმომადგენლები ატარებდნენ".

ბ) „მზისგან თავს ქოლგით მხოლოდ მაღალი წრის წევრები იცავდნენ".

გ) „წითელი და ყვითელი ქოლგები მხოლოდ დიდგვაროვნებისთვის იყო განკუთვნილი".

2. რა დანიშნულებით იყენებდნენ თავდაპირველად ქოლგას?

ა) მხოლოდ მზისგან თავის დასაცავად.

ბ) მხოლოდ წვიმისაგან თავის დასაცავად.

გ) სოციალური მდგომარეობის ხაზგასასმელად.

3. რა სიახლე შეიტანა ქოლგის კონსტრუქციაში ინგლისელმა მოგზაურმა ჟოან ჰანვეიმ?

ა) დასაკეც ქოლგას გარედან დამატებითი ჩხირები გაუკეთა.

ბ) ქოლგის სიფრიფანა ქსოვილი წყალგაუმტარით ჩაანაცვლა.

გ) შექმნა ქოლგა რკინის ჩხირების გარეშე.

4. გარდა პრაქტიკული გამოყენებისა, რა ფუნქცია შეიძინა დღეს ქოლგამ?

ა) ქოლგა აუცილებელი დამატებითი ნივთი გახდა მოდური ქალბატონებისთვის.

ბ) ქოლგა მოდური ქალბატონებისთვის ყურადღების მიქცევის საშუალებად იქცა.

გ) ქოლგა მოდური ქალბატონებისთვის ხელოვნების ნიმუშად იქცა.

5. რატომ გამოიყენება დღეს ფართოდ დასაკეცი ქოლგა?

ა) ასეთი ქოლგა პრაქტიკულია, მოხერხებულად სატარებელი.

ბ) რთული კონსტრუქცია აქვს და განსაკუთრებით ლამაზია.

გ) ხელოვნების ნიმუშს წააგავს და შორიდანაც იპყრობს ყურადღებას.

LIVEWORKSHEETS

6. რითაა განსაკუთრებული იაპონელი დიზაინერის, ჰიროსი ჯაძიმოტოს, მიერ გამოგონილი ქოლგა?

ა) იგი ლურჯი ფერისაა და მზისაგან თავის დასაცავად გამოიყენება.

ბ) იგი ორივე მხრიდან იკეცება და ტაიფუნს უძლებს.

გ) მას არ აქვს რკინის ჩხირები და ჩვეულებრივზე მოკლეა.

7. „მოდიდან არ გადადის გრძელტარიანი, <u>ელეგანტური</u> კლასიკური ქოლგები." რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა?

ა) მოხდენილს. ბ) პრაქტიკულს. გ) წყალგაუმტარს.

8. ტექსტის ძირითადი მიზანია გაგვაცნოს:

ა) კლასიკური ქოლგის დიზაინერები.

ბ) ქოლგის გამოგონების ისტორია.

გ) ქოლგის სხვადასხვა კონსტრუქცია.

LIVEWORKSHEETS